

შპს „კახური“

ს/კ 231244230

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შპს "კახური"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	592591	13824	952368	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	436900	146227	101408	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	324566	29416	2563	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2818900	3324360	3503867	3.2
მ.შ. - შზა პროდუქცია	112821	552372	801971	
- სხვა	2706079	2771988	2701896	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	50476	125879	2039	3.3
ბიოლოგიური აქტივები	50	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	50	
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	18772	18772	24083	
ძირითადი საშუალებები	750619	804862	878117	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4992874	4463390	5464495	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	10273	25932	43611	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5171	4958	2966	
საგადასახადო ვალდებულებები			15172	
გამოუმუშავებელი შემოსავალი		519903	1031238	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	51103	56296	49685	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		51102	107398	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	66547	658191	1250070	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	497816	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	4428511	3307383	3716609	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4926327	3805199	4214425	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4992874	4463390	5464495	
სულ მოკლევადიანი აქტივები	4223433	3639706	4562245	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	66547	607089	1142672	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2023 წ.

დირექტორები:

დ.დოლმაზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ამონაგები	8563816	7578398
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	8484629	7532437
- მომსახურების გაწევიდან	79187	45961
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-5055996	-3869758
საერთო მოგება	3507820	3708640
სხვა საოპერაციო შემოსავალი		790
დასაქმებულთა ანაზღაურება	-444870	-444325
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-38424	-51709
საპროცენტო შემოსავალი	111279	4865
საპროცენტო ხარჯი	-10417	-17027
იჯარის ხარჯი	-1200	-1200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-379282	-270015
სულ საოპერაციო ხარჯები	-762914	-778621
საოპერაციო მოგება	2744906	2930019
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		
მ.შ. - ფინანსური აქტივების		
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-103274	-8537
მიღებული დივიდენდები	13932	108357
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2655564	3029839
მოგების გადასახადის ხარჯი	-230166	-515750
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	2425398	2514089
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	2425398	2514089
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3805199	4214425
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1304270	-2922583
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-732
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4926327	3805199

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები:

დ.დოღმაზაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



შპს "კახური"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1877181	1858313
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-13276	-41103
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1201648	-2759992
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	662257	-942782
სავალუტო კურსის ეფექტი	-83490	4238
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	13824	952368
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	592591	13824

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები: _____

დ.დოღმაზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განყოფილებით.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	592591	13824	952368	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	436900	146227	101408	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	324566	29416	2563	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2818900	3324360	3503867	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	112821	552372	801971	
- სხვა	2706079	2771988	2701896	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	50476	125879	2039	3.3
ბიოლოგიური აქტივები	50	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	50	
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	18772	18772	24083	
ძირითადი საშუალებები	750619	804862	878117	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4992874	4463390	5464495	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	10273	25932	43611	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5171	4958	2966	
საგადასახადო ვალდებულებები			15172	
გამოუმუშავებელი შემოსავალი		519903	1031238	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	51103	56296	49685	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		51102	107398	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	66547	658191	1250070	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	497816	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	4428511	3307383	3716609	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4926327	3805199	4214425	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4992874	4463390	5464495	
სულ მოკლევადიანი აქტივები	4223433	3639706	4562245	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	66547	607089	1142672	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.09.2023 წ.

დირექტორები: _____ დ.დოლმაზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	8563816	7578398	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	8484629	7532437	
- მომსახურების გაწევიდან	79187	45961	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-5055996	-3869758	
საერთო მოგება	3507820	3708640	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		790	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-444870	-444325	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-38424	-51709	
საპროცენტო შემოსავალი	111279	4865	3.7
საპროცენტო ხარჯი	-10417	-17027	
იჯარის ხარჯი	-1200	-1200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-379282	-270015	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-762914	-778621	
საოპერაციო მოგება	2744906	2930019	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-103274	-8537	3.9
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	13932	108357	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2655564	3029839	
მოგების გადასახადის ხარჯი	-230166	-515750	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	2425398	2514089	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	2425398	2514089	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3805199	4214425	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1304270	-2922583	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-732	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4926327	3805199	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები: _____ დ.დოლმაზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "კახური"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1877181	1858313
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-13276	-41103
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1201648	-2759992
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	662257	-942782
სავალუტო კურსის ეფექტი	-83490	4238
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	13824	952368
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	592591	13824

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კახური“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2001 წლის 20 მარტს თელავის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231244230, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი, N 1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: ზურაბ გოლეთიანი (პ.ნ. 20001000086) - 33,3%, დავით დოლმაზაშვილი (პ.ნ. 01001002469) - 33,3%, გიორგი მარკოზაშვილი (პ.ნ. 20001005266) - 33,4%. სამივე მათგანი იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნის გადამუშავებით ნატურალური ღვინის წარმოება და რეალიზაცია. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - არყის (ჭაჭის) წარმოება.

1.4. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და

შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	136	165
ლარი საბანკო ანგარიშებზე	21022	1244
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	571274	12213
ევროები საბანკო ანგარიშებზე	2	8
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	157	194
სულ:	592591	13824

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 წლის მდგომარეობით	ნაშთი 2021 წლის მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2628	2628
ნედლეული და მასალები	2653851	2696198
მზა პროდუქცია	112821	552373
საწვავ- საცხები მასალები	3334	6872
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	46266	66289
სულ:	2818900	3324360

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ გადასახადს და სალდირებული საგადასახადო ზედმეტობის ნაშთს.

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	14900	129496
სალდირებული დავალიანება	35576	-3617

3.4. არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარე ობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ამორტიზაც ია	ნაშთი 31.12.2021 მდგომარე ობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ამორტიზაცი ა	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობ ით
პატენტები	835	0	0	835	-	279	1114
პროგრამული უზრუნველყოფა	17786	0	0	17786	-	5032	22818
ლიცენზია	151	0	0	151.00	0	0	151
ექსპლუატაციაში არ შესული პროგრამული უზრუნველყოფა	-	0	0	0	0		0
სულ:	18772	0	0	18772	0	5311	24083

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარე ობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარე ობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობ ით
მიწის ნაკვეთი ს/კოდი 53.20.33.191 ყოფ. 53.17.144.028 (1200 მ2)	5780	0		5780	0		5780
ნაყოფის მომცემი კულტურები	7738		297	8035		297	8332
დასამონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	2776	2776	0	0	0	0	0
მიმოსვლის გზები	6668		429	7096		429	7525
შენობები	131959	0	11316	143275	0	11316	154591
ნაგებობები	6550		470	7020	0	470	7490
მანქანა- დანადგარები	280532	0	75844.00	356376		75844	432220
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	1209		1709	2918		1769	4687
ელექტროგადამცემ ის საშუალებები	1709		1081	2790		1081	3871
მილსადენები	306	325	19	0			0
კონსტრუქციები	5633	3900	546	2279	0	389	2668
ოფისის აღჭურვ კომპ. ტექნის და ავეჯის გარდა	12038	5589	3864	10313	1902	3500	11911
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერ მოწყობები	10119	0	5669	15788	2679	6432	19541
ელექტრონულ მოწეუ გარდა კომპიუტერ ტექნიკ	0		0	0	0	0	0
ავეჯი	454	500	46	0		0	0
ინვენტარი	9610	1811	4002	11801	291	6223	17733
სპეციალური ინსტრუმენტები	834		218	1052	1088	36	0
მსუბუქი ავტომობილები	9791	0	5069	14860	0	10687	25547
ავტოსატრანსპორ ტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	0		3652	3652		5478	9130
სხვა ავტოტრანსპორტი	15120	16800	1680	0	0	1125	1125
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	185295		23601	208896	67077	17976	159795
ძირითადი კორპუსის მეტალო პლასტმასის კარ ფანჯარა	52359	53424	1065				
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	4140	4305	3096	2931	2822	6062	6171
სულ	750619	89430	143673	804862	75859	149114	878117

3.5. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება მოიცავს რეზიდენტ ბანკიდან აღებულ სესხს

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მოკლევადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი რეზიდენტი ბანკიდან 2022 წელი	51102	56296
	0	
სულ:	51102	56296

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021-2022 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ყურძნის გადამუშავებით მიღებული ღვინისა და არყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან, ასევე, ღვინის ჩამოსხმის მომსახურებისგან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საპროცენტო შემოსავლები

	2022 წელი
შემოსავალი ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ სესხის თანადაფინანსებიდან	9167
შემოსავალი ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ყურძნის თანადაფინანსებიდან	94955
საპროცენტო შემოსავალი	7157
სულ:	111279

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2022 წელი
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-8725.00
მასალების დანახარჯები	-62562.00
სხვა საერთო საწარმოო საოპერაციო ხარჯი	-140.00
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	-37115.00
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	-32802.00
მიწოდების ხარჯი	-25347
კომუნალური გადასახადები(ელექტრ ენერგ,წყალი,გაზი დასუფთავება)	-10360
საკომუნიკაციო ხარჯი	-11478
დაზღვევის ხარჯი	-2723
საწვავის ხარჯი	-41718
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-32924
საექვო ვალების ხარჯი	329
საბანკო ხარჯი	-4739
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	-21918
მივლინების ხარჯები	-11107
მწვანე ნარგავებზე და ბიოლოგიურ აქტივებზე გაწეული ხარჯი	-1625
საგადასახადო ხარჯი	-15361
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	-58967
სულ:	-379282

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოს/დამაკლ. უცხ.ვალუტით ვაჭრ. და
სავალუტო სახ. გადაფასებით:

	2022 წელი
დადებითი საკურსო სხვაობა	7380
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-110654
სულ:	-103274

3.10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები

	2022 წელი
არასაოპერაციო მოგება მ/ს	10543
სხვა /შემოსავალი	4615
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-611
სხვა /ხარჯები	-615
სულ:	13932

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2022 წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2022 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 01 სექტემბერს.